# კორახი მოსესა და აარონის წინააღმდეგ

## რიცხვების 16, 17 თავები

შეარჩიეთ ისეთი სავარჯიშოები, რომლებიც თქვენს შვილს დააინტერესებს და გამოადგება. განიხილეთ ეს სავარჯიშოები ოჯახთან ერთად.



### წაიკითხეთ რიცხვების 16, 17 თავები.

შემდეგ წაიკითხეთ დასურათებული ბიბლიური ისტორია (ონლაინში ან ამობეჭდილი PDF ფორმატიდან) და განიხილეთ ამ ისტორიის ბოლოს დასმული კითხვები.

## სხვა ამოსაბეჭდი სავარჯიშოები



### სურათები

**გასაფერადებელი გვერდი.** წაიკითხეთ გამოსვლის 28:15—21. შემდეგ თქვენს შვილებს გააფერადებინეთ მღვდელმთავრის სამკერდეზე დამაგრებული ძვირფასი ქვები. ბოლოს დაეხმარეთ, გამოჭრან ეს სამკერდე და გულზე მიიმაგრონ.



### სახალისო სავარჯიშოები

**ასაწყობი სურათი.** თქვენი უფროსი ასაკის ბავშვს სთხოვეთ, გამოჭრას დაააწყოს ისრაელის ბანაკი. შემდეგ დაეხმარეთ, გამოჭრას ბიბლიური პერსონაჟები. სთხოვეთ, ფურცლის სუფთა ნაწილზე დაწეროს თავისი სახელი და თავისი თავი დახატოს. ბოლოს კი ეს ასაწყობი სურათი იმისთვის გამოიყენეთ, რომ კორახის შესახებ ბიბლიაში აღწერილი სცენა გაითამაშოთ. თითოეული ეპიზოდის გათამაშების დროს ჰკითხეთ ბავშვს: „შენ რომ იქ ყოფილიყავი, რომელ მხარეს დადგებოდი?“



### შეაგროვე და ისწავლე

**ბიბლიური ბარათი.** ბავშვებთან ერთად წაიკითხეთ ზოგადი ცნობები და მათ ბარათზე მოცემული კითხვები დაუსვით. გამოიყენეთ ჩვენს ვებ-გვერდზე jw.org მოცემული იმ სხვა ხუთი ბიბლიური პერსონაჟის ბარათი, რომლებიც ლევის ტომიდან იყვნენ: 1) წინასწარმეტყველი, რომელმაც კარავში მსახურება ჯერ კიდევ პატარაობიდან დაიწყო; 2) ამრამის სამი შვილი და 3) მღვდლის ვაჟი, რომელმაც ბიბლიის ოთხი წიგნი დაწერა (**მინიშნება:** წაიკითხეთ 1 სამუელის 3:1; 1 მატიანეს 6:1—3, 33, 34; იერემიას 1:1).

**პასუხები:** **1.** სამუელი **2.** აარონი, მოსე, მირიამი **3.** იერემია.

www.jw.org © 2014 Watch Tower Bible and Tract Society of Pennsylvania